ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოსწონდა მარჯვენა მხარით დაწყება – ფეხსაცმლის ჩაცმისას, თმის ვარცხნისას, განბანვისას და ყველა სხვა საქმეში

გადმოცემულია მორწმუნეების დედა აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოსწონდა მარჯვენა მხარით დაწყება – ფეხსაცმლის ჩაცმისას, თმის ვარცხნისას, განბანვისას და ყველა სხვა საქმეში».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უყვარდა და ამჯობინებდა მარჯვენა მხარიდან დაწყებას ისეთ საქმეებში, რომლებიც პატივისცემასა და ღირსებას გამოხატავდა, მათ შორის: მარჯვენა ფეხით დაწყება ფეხსაცმლის ჩაცმისას და მარჯვენა მხრიდან დაწყება თავისა და წვერის ვარცხნისას, დალაგებისა და ზეთის გამოყენებისას, ასევე ვუდუს (განბანვის) დროს მარჯვენა ხელისა და ფეხის განბანვა მარცხენაზე წინ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3018

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee